PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

დანართი №3

# პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნ ა

## სსიპ კოლეჯი „ერქვანი“

| ექსპერტთა ჯგუფის წევრები |
| --- |
| თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი |
| წევრები: |
| ვანო ოთხოზორია |

(თბილისი, 2020)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: კოლეჯი „ერქვანი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## III. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*ა.წ. 18 და 19 ივნისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 6 ივნისს N 434193 ბრძანების შესაბამისად სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის უფლების მოპოვების მიზნით. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების მიხედვით.*
*ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის დაცვით, რომელიც დადგენილი წესის მიხედვით გაცნობილი იყო დაწესებულება წინასწარ.*
*ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა მიერ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, რომლებიც დაზუსტდა ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუებით, ადგილზე დოკუმენტაციის გადამოწმებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებით.*
*ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა ქ.ამბროლაურში.*
*სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ ავტორიზაცია 6 წლით აქვს მოპოვებული 2019 წლის 30 ივლისიდან.*
*უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის სტანდარტებთან დოკუმენტაციის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ სტრატეგიულ გეგმაში და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში განხორციელებული იყო ცვლილებები, რომელთა შესახებ ინფორმაცია ვიზიტის დასაწყისში, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მოგვაწოდეს და შესაბამისად, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა განახლებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.*
*დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ვიზიტის დროს ხდებოდა კონსტრუქციული და საქმიანი თანამშრომლობა.*

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები:

1. *საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის დროს მკაცრად დაიცვან სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილი რეგულაცია პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცედურის შესახებ -* ***შესრულებულია დაწესებულების მიერ.***
2. *ინფორმაციული ტექნოლოგიის მხარდაჭერის პროფესიული მასწავლებლებმა გაიარონ CISCO ავტორიზებულ აკადემიაში ინსტრუქტორის გადამზადების კურსი;*

*დაწესებულების მიერ CISCO IT-essential სასწავლო კურსის ინსტრუქტორის სტატუსის მოპოვების მიზნით მივლინებული იყო პროფესიული განათლების 1 მასწავლებელი, რომელმაც გაიარა კურსი და უახლოეს მომავალში ჩააბარებს სასერტიფიკატო გამოცდას. -* ***რეკომენდაცია შესრულების პროცესშია.***

3. *დაწესებულებამ დროულად განახორციელოს ყველა ცვლილება ახლადდამტკიცებული წესდებით განსაზღვრული სტატუსის და სახელწოდების შესაბამისად -* ***შესრულებულია დაწესებულების მიერ.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

PDF Eraser Free

-

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაციები

*2.1.1*

*1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა დოკუმენტში „პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვა, სტუდენტის სტატუსის მოპოვება“ და ნაცვლად მითითებული დოკუმენტისა „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ ნ ბრძანებით, შეიცვალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“.*

*2.2.1.*

*1. მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში“ სწავლის შედეგების მიღწევისთვის, რომლის ყველა თემატიკის სწავლება ხორციელდება დაწესებულებაში, <u>სასურველია</u> განხორციელების მიდგომები დაზუსტდეს და განხორციელდეს პროფესიული სტუდენტებისთვის მიზნობრივი ექსკურსიის ორგანიზება საწარმოში.*

*2.4.2.*

*2. <u>სასურველია</u> პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი დაიხვეწოს და მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამასთან, წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. გარდა ამისა, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება  პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0612 |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | 2019 წლის 27 მაისის ბრძანება N28 „ო“<br>2020 წლის 17 ივნისის ბრძანება N32 ,,ო“ |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.N10 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით, მათ შორის ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში), ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად | 14 სტუდენტი |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დამატებით მოთხოვნილი რაოდენობა | 14 სტუდენტი |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | 28 სტუდენტი, მოდულური, ქ.ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ.N10 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება  პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების  შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა  შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free


## პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელების დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის შრომის ბაზრის მოთხოვნებს და კოლეჯის რესურსების საკმარისობას. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიაში გაცხადებულია შემდეგი: „შრომის ბაზრის გაზრდილი და სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად, ბენეფიციარებს, მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით და ასაკის შეუზღუდავად, მისცეს შესაძლებლობა, დაეუფლონ ახალ პროფესიას, შეიცვალონ პროფესია ან აიმაღლონ კვალიფიკაცია პრინციპით: პროფესიული განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე დასაქმებისათვის და ამით შეიტანოს თავისი წვლილი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში“ და წარმოდგენილი პროგრამა შესაბამისობაშია მისიასთან.

   კოლეჯის სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების შესწავლით დადგინდა, რომ ისინი ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების განსაზღვრას და განხორციელებას. შესაბამისად, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ განხორციელება ეფუძნება სტრატეგიული განვითარების გეგმას.
2. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები გამჭვირვალეა, შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილ წინაპირობასთან - საბაზო განათლება და უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

   პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია დირექტორის N19 ,,ო“ (24.04. 2019 წ.) დამტკიცებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, ***აღსანიშნავია, რომ წესში ფიქსირდება ტექნიკური შეცდომა, რომელიც საჭიროებს გასწორებას, კერძოდ, ნაცვლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ ნ ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტისა ,,ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო“, უნდა მიეთითოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“.***
3. სსიპ კოლე ,,ერქვანის“ დირექტორის მიერ 2018 წლის 26 ივლისის N60 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ პროფესიული კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. მეთოდოლოგიაში აღნიშნულია, რომ ,,პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტა განისაზღვრება 2 ჯგუფით, ჯგუფში 10-15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით“, რომლის საფუძველზე კოლეჯში სწავლების განხორციელება 2 ცვლად საჭიროებისა და ამ მეთოდოლოგიის პირველი მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში შესაძლებელია. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა ეყრდნობა ზემოთ აღნიშნულ მეთოდოლოგიას; ***ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა რეესტრის მონაცემები და დადგინდა, რომ პროგრამაზე ირიცხება 12 აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი, ხოლო 2 პროფესიულ სტუდენტს სტატუსი აქვს შეჩერებული. ექსპერტთა შეფასებით შესაძლებელია არსებული კვოტა 14 პროფესიული სტუდენტი გაიზარდოს 28 პროფესიულ სტუდენტამდე.***
4. ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტის ფარგლებში დოკუმენტაციის შემოწმებისა და დათვალიერების საფუძველზე დაადგინეს, რომ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “ არჩევითი მოდულები არ აქვს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ, რაც დასტურდება დოკუმენტის „სსიპ - კოლეჯის „ერქვანი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, მეოთხე მუხლის - მოდულური პროგრამის დამტკიცების წესის - პირველი პუნქტის შესაბამისად.
7. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და წინასწარ დაგეგმილ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამა მოიცავს ყველა საერთო პროფესიულ მოდულს, ზოგად მოდულებს და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს.

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N 19 „ო“ (24.04.2020);
- დაწესებულების მისია http://erqvaniprof.ge/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90/m217
- სტრატეგიული გეგმა http://erqvaniprof.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/m259
- „სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და დამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N8 „ო“ (14.02.2019), ცვლილება დამტკიცებულია ბრძანებით N29 „ო“ (17.06.2020).
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N60 „ო“ (26.07.201), ცვლილება დამტკიცებულია ბრძანებით N30 „ო“ (17.06.2020);
- ინტერვიუს შედეგები დაწესებულების წარმომადგენლებთან.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა “ *დაწესებულებას გამოყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი A/B გარემო ძირითადი დარგობრივი პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის პირველ სართულზე და A/B გარემო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი მოდულებისა და ყველა სხვა მოდულებში თეორიული სწავლის შედეგების სწავლებისთვის მეორე სართულზე, თითოეული აუდიტორია მოწყობილია 14 პროფესიული სტუდენტისთვის და 1 პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის. აუდიტორიებში სრულადაა განთავსებული ჩარჩო დოკუმენტით მოთხოვნილი პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი აღჭურვილობა და სრულიად აკმაყოფილებს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*14 პროფესიული სტუდენტით კვოტის გაზრდის შემთხვევაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შეუფერხებელი სწავლების განხორციელების პირობებს როგორც სასწავლო ცხრილების რეგულირებით, ისე ორ ცვლაშიც.*

პროგრამის ფარგლებში საწარმოსთან არ არის ხელშეკრულებები გაფორმებული, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებლების ინფორმაციით სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის ბაზაზეც. თუმცა, ავტორიზაციის ექსპერტთა მოსაზრებით *მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში" სწავლის შედეგების მიღწევისთვის, რომლის ყველა თემატიკის სწავლება ხორციელდება დაწესებულებაში, სასურველია განხორციელების მიდგომები დაზუსტდეს და განხორციელდეს პროფესიული სტუდენტებისთვის მიზნობრივი ექსკურსიის ორგანიზება საწარმოში.*

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 3 პროფესიული განათლების მასწავლებელთან პროფესიული მოდულების და 6 პროფესიული განათლების მასწავლებელთან ზოგადი და საერთო პროფესიული მოდულების განხორციელებისთვის. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, კვირეული საათობრივი დატვირთვა და ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს.

   პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას უნდა ჰყავდეს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, აღნიშნულ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის თანაფარდობა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან იქნება 28/9. ამასთან მათი მოდულების განხორციელების კომპეტენციისა და დარგებში გამოცდილების მიხედვით *ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა გაზრდილი კვოტის შემთვევაში (28 პროფესიული სტუდენტი) უზრუნველყოფს „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;*
3. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის "პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები და ჩატარდა მათთან გასაუბრება;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები, ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს, გადაამოწმეს მისი პირადი საქმე.
5. ექსპერტთა შეფასებით „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით; გამონაკლისს წარმოადგენდა მოდული „მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები", რომლისთვისაც ავტორიზაციის ექსპერტებთან გასაუბრების შემდეგ ვიზიტის მიმდინარეობისას სასწავლო რესურსებში დამატებული იქნა ელექტრონული კონსპექტების კრებული და გატარებულ იქნა ბიბლიოთეკაში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2018 წლის 14 მაისის N 26 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკარის კვალიფიციურობა დასტურდება მისი პირადი საქმით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის ხელმისაწვდომობა და ჩატარდა დაწესებულების ბიბლიოთეკართან გასაუბრება.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯში მოწყობილია პანდუსი და აღჭურვილია ლიფტით, შესაბამისად კოლეჯის ტერიტორიაზე შშმ პირს აქვს შეუზღუდავი გადაადგილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა.

   კოლეჯში სსსმ და შშმ პირი სტუდენტებისთვის სწავლებისთვის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 29 “ო“ 2020 წლის 17 ივნისს დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. ამ წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის: სასწავლო გეგმის აკომოდაციის ან/და სასწავლო გეგმის მოდიფიკაციის ან/და სასწავლო გეგმაში ფუნქციური და ალტერნატიული მიზნების დამატების მიზნით. წესი ითვალისწინებს სასწავლო რესურსების ადაპტირებასაც, თუმცა მისი გამოყენების საჭიროება დაწესებულებას პრაქტიკულად არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, ისინი აცნობიერებენ და აქვთ მზაობა საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სასწავლო რესურსების ადაპტირება სსსმ პირების მოთხოვნილებების შესაბამისად; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას გონივრულ ვადებში შეადგენს კონკრეტული მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან ერთად. ხარისხის მართვის მენეჯერი შეამოწმებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და დასამტკიცებლად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. საქართველოს განათლების, მეცნიერების,კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდის დასკვნის ანალიზის (მტკიცებულებების) საფუძველზე, ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდამხარდამჭერი გუნდის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად,სსსმ/შშმ სტუდენტებისთვის დირექცია უზრუნველყოფს საჭირო დამატებითი სპეციალისტების დაქირავებასა და ადაპტირებული სასწავლო რესურსის შეძენას. დამატებითი მომსახურების თანხა დაიფარება ,,დანამატი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის“ გამოყოფილი თანხიდან.

7. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია პროგრამული, მიზნობრივი და ვაუჩერული დაფინანსებით, რომლის საფუძველზე შემუშავებულია ბიუჯეტი, სადაც ასახულია შემოსავლები და ხარჯები.

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“/მოდულები;
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N60 „ო“ (26.07.2018), ცვლილება დამტკიცებულია ბრძანებით N30 „ო“ (17.06.2020);
- დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანება N 36 „ო“ (19.06.2020 ) პროფესიული განათლების მასწავლებლებზე პროგრამის ხელმძღვანელობის დავალების შესახებ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ ბიბლიოთეკის დებულება, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N26 „ო“ (14.05.2018), ცვლილება დამტკიცებულია ბრძანებით N29 „ო“ (17.06.2020);
- მასწავლებლების/პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროფესიული პროგრამის მასწავლებლებთან/პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება;
- ბიბლიოთეკართან გასაუბრება;
- ფაქტობრივი გარემოება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვის მიზნით სსიპ კოლეჯში „ერქვანი“ შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N27 ,,ო“ ბრძანებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის ზოგადი დებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა და წესი, მოდულის შემუშავების/ადაპტირების წესი, მოდულური/დუალური პროგრამის დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების, განვითარების და ცვლილებების შეტანის, ასევე მისი გაუქმების წესი, რომელზე დაყრდნობითაც იგი ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს, პერიოდულ ზედამხედველობას პროგრამის მიმდინარეობაზე და სახავს მისი გაუმჯობესების გზებს. დოკუმენტში გაწერილია თითოეული ზემოთ აღნიშნული პროცესისთვის პასუხისმგებელი პირი/პირები, პირობები, მოქმედებათა თანმიმდევრობა.

ამავე დროს, დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N27 ,,ო“ ბრძანებით ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დემინგის ციკლის მიხედვით ,,დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-გადახედე/გაუმჯობესე“.

დაწესებულება აწარმოებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების კვლევას, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს.

2. დაწესებულების მიერ წარმოებული კვლევების გამოყენების, ანალიზის, რეკომენდაციების გაცემისა და ამ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პრაქტიკული განხორციელების დადასტურება ვიზიტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.
კოლეჯის დირექტორის მიერ ა.წ. 17 ივნისის N31 ,,ო“ ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების მექანიზმი“, რომლის მიხედვით სავალდებულო გახდა ზემოაღნიშნული აქტივობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა ხორციელდება მხოლოდ 2019 წლის დეკემბრიდან და შესაბამისად, ჯერ არ აქვთ ჩატარებული კვლევები, თუმცა დაწესებულების რეგულაციის შესაბამისად იგი დაგეგმილია და მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის მართვის სამსახურის 2020 წლის წლიური სამუშაო გეგმა.

ინტერვიუების ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს პროგრამის განვითარებისთვის კვლევებში მონაწილეობა, ხოლო პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრება ვერ მოხერხდა პანდემიის მიზეზით შეწყვეტილი სასწავლო პროცესის გამო.

დაწესებულების მიერ ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დაცვით. ავტორიზაციის ექსპერტთა დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი იქნა მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი. ჩატარებული იქნა ინტერვიუები კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან, რომლებმაც აღნიშნეს რომ ყოველწლიურად წარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზის შევსება, დასაქმების მაჩვენებლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, წელიწადში 2-ჯერ ატარებენ სკოლებში და დამსაქმებლებთან მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის შეკრებას. დაინტერესებულ მხარეებში კოლეჯის ადმინისტრაცია განსაკუთრებით აკეთებს აქცენტს დამსაქმებლების უკუკავშირზე. მათი კონკრეტულ მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას აგროვებს და ამუშავებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი და ინიცირებით მიმართავს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს ახალი პროფესიული პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის ან მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით.

***საერთო ჯამში, ავტორიზაციის ექსპერტთა შეჯერებული მოსაზრებით, დაწესებულებაში შექმნილია მარეგულირებელი წესები და მექანიზმები, რომლის საფუძველზე უნდა მოხდეს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, რომლითაც დაკმაყოფილებულია 2.3.1 კომპონენტის/კრიტერიუმის 1 და 2 ინდიკატორის მოთხოვნები. თუმცა, მიუხედავად იმისა რომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულებული აქტივობების მტკიცებულებები, რეგიონში პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობის, ეფექტურად შერჩეული პროფესიული განათლების პროგრამების ადგილობრივ მოქალაქეთათვის შეათავაზებისა და ეკონომიკურ განვითარებაში წვლილის გაძლიერების მიზნით, სასურველია ამ მიმართულებით უფრო მაღალი აქტივობა და მეტად ხარისხიანი კვლევების წარმოება.***

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასების, განვითარებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის N27 ,,ო“ ბრძანებით (16.06.2020 წ.);
- ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის N27 ,,ო“ ბრძანებით (16.06.2020 წ.);
- ,,კოლეჯის მიერ კვლევის წარმოების მექანიზმი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის N31 ,,ო“ ბრძანებით (17.06.2020 წ.);
- პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი;
- პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი;
- პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმები;
- ხარისხის მართვის სამსახურის 2020 წლის წლიური სამუშაო გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

- გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

### 2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

### კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა“ ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად თანმიმდევრულად; დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული სასწავლო კურსების წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა; სასწავლო პროცესი ხორციელდება სასწავლო გეგმის მიხედვით, რაც დასტურდება მეცადინეობების ცხრილით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგებით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია ეცნობიან ელექტრონული საშუალებებით, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, საკომუნიკაციო საშუალებებით. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით N 29 "ო" 2020 წლის 17 ივნისს დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი", რომელშიც გაწერილია სსსმ და შშმ პირების, აგრეთვე მობილობით გადმოსული და სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ჩატარდა ინტერვიუები პასუხისმგებელ პირებთან.
3. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის " საგანმანთლებლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" სწავლების ყველა შედეგის მიღწევა დაგეგმილია დაწესებულების შენობაში და შესაბამისად არ აქვს თანამშრომლობითი ურთიერთობა პრაქტიკის ობიექტებთან. დაწესებულებას მიეცა რჩევა გაცნობითი პრაქტიკის მოდულისთვის უზრუნველყოს პრაქტიკის ობიექტთან ხელშეკრულების გაფორმება, **იხ. კომპონენტი/კრიტერიუმი 2.2.1, ინდიკატორი 1.**
4. „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის " პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები; 2019 წლის 28 ნოემბერს N68 „ო" ბრძანებით დამტკიცებულია ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი და N 29 "ო" 2020 წლის 17 ივნისს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი". ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან.
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ დაწესებულებასთან, რაც დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, **იხ. ამ კომპონენტის მე-3 ინდიკატორი;**
6. სსიპ კოლეჯში „ერქვანი" სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, სსიპ კოლეჯი ერქვანის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა" ფარგლებში სპეციფიკური უსაფრთხოების საჭიროება არ არის. ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს გარემო და გაესაუბრნენ პასუხისმგებელ პირებს.

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა ", სასწავლო გეგმა,მოდულები;
- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის" დირექტორის ბრძანებით N 19 „ო" (24.04.2020);
- სასწავლო მეცადინეობის ცხრილები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი,და მტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის" დირექტორის ბრძანებით N 29 „ო" (17.06.2020) ;
- ინკლუზიური პროფესიული განათლების შიდა მხარდაჭერის გუნდის შექმნისა და მასში მონაწილე პირების საქმიანობის წესი, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის" დირექტორის ბრძანებით N 68 „ო" (28.11.2019).
- სსიპ კოლეჯი „ერქვანის" შინაგანაწესი;
- „უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები", დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის" დირექტორის ბრძანებით N 29 „ო" (17.06.2020);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N 319 „ო“ (17.06.2020);
- კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შეფასების სისტემა, რომელც არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია შესაბამისობაშია მოქმედი კანონმდებლობასთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც გაწერილია „სწავლის შედეგის შეფასების, ინსტრუმენტის შემუშავების, დამოწმების, გამოყენების და სტუდენტის მიერ შედეგის დადასტურების და გასაჩივრების წესი“(მუხლი 23[1]), მასში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის და შემუშავების პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხები, აპელაციის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 24-ე მუხლი მოიცავს განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურას და წესს, 27-ე მუხლის მე-4-ე პუნქტი კი ინფორმაციას მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესს. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯში სასწავლო პროცესის განხორციელებისას დაცულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესის მოთხოვნები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს; დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 16 ივნისის N27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებულია “შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“. თითოეული პროფესიული პროგრამის შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციას ახორციელებს კომისია, მათ შორის ხარისხის სამსახურის მენეჯერი. ვერიფიკაციის პროცესი ინტერესთა კონფლიქტს გამორიცხავს.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ ***პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის დოკუმენტი შემუშავებულია, რითიც დაკმაყოფილებულია 2.4.2-ის მე-2 ინდიკატორის სრული შესაბამისობა, თუმცა სასურველია აღნიშნული დოკუმენტი დაიხვეწოს და მასში დეტალურად გაიწეროს შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და უკვე შექმნილი მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამასთან, წინასწარი შეფასების საფუძველზე განისაზღვროს ვერიფიკატორის სამუშაოს მოცულობა და არსებული რესურსები და ამის გათვალისწინებით დადგინდეს რამდენი ინსტრუმენტის/მტკიცებულების ვერიფიკაციაა შესაძლებელი. გარდა ამისა, რისკების ანალიზის საფუძველზე შეირჩეს ის ინსტრუმენტები და მტკიცებულებები, რომელთა ვერიფიკაციაც აუცილებელია.*** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას ჯერ არ განუხორციელებია „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაცია, ვინაიდან მისი განხორციელება დაიწყო მხოლოდ 2019 წლის დეკემბრიდან და ამ ეტაპისთვის დასრულებულია მხოლოდ ერთი მოდული. ვიზიტის დროს ხარისხის მართვის მენეჯერმა ექსპერტებს წარმოუდგინა ხარისხის მართვის მენეჯერის 2020 წლის სამუშაო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია ღონისძიებები, მოსალოდნელი შედეგი, შესრულების ვადა და შემსრულებელი, მათ შორის ვერიფიკაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, რაც ადასტურებს რომ პროცესის განხორციელებისთვის დაწესებულებას გააჩნია მზაობა.

3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით დირექტორის ბრძანებით N29 „ო“ 2018 წლის 8 აგვისტოს დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „ერქვანის“ არქივის წარმოების დებულების შესაბამისად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. სასწავლო პროცესის მენეჯერი აანალიზებს შეფასების შედეგებს და ანგარიშს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

## დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N 19 „ო“ (24.04.2020);
- 2020 წლის 16 ივნისს კოლეჯის დირექტორის N27 „ო“ ბრძანებით დამტკიცებული „შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია“, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N 27 „ო“ (16.06.2020)
- არქივის წარმოების დებულება, დამტკიცებული სსიპ - კოლეჯ ,,ერქვანის“ დირექტორის ბრძანებით N 29 „ო“ (08.08.2018);
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები.

## შეფასება:

☒ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი გაზრდილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## X. თანდართული დოკუმენტაცია

სულ 6 ფურცელი:
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცელი;
დანართი 2. შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაცია - 4 ფურცელი.

10.07.2020
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: